საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 7 20 0001243370

30/12/2020

"სსიპ - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და ტექნოლოგიების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგარემის აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 26 ოქტომბრის №1037986 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა დასაქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1„სსიპ - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 26 ოქტომბრის №1037986 გადაწყვეტილების დასახელებაში, აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთების 2.1 და 2.2 პუნქტებში, სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1.1. გადაწყვეტილების დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **„შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტ ის „საჰაეროხომალდებისტექნიკურიექსპლუატაციის"სამაგისტრო საგანმანათლებლოპროგრამისაკრედიტაციისშესახ ებ";**

1.2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთების 2.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „2.1. 2020 წლის 03 თებერვალს შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტმა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №64/20 (ცენტრში რეგისტრაციის №120738) სააკრედიტაციო განაცხადი „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისთვის.."

1.3. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთების 2.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 27 თებერვლის N252438 ბრძანების საფუძველზე, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 15 ივლისის №608796 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი, ხოლო 2020 წლის 24 სექტემბერს წარმოდგენილია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად::"

1.4. სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „1. დაკმაყოფილდეს შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი და ამ გადაწყვეტილების დანართი №1-ით გათვალისწინებულ „საჰაერო ხომალდების ტექნიკური ექსპლუატაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.“

2.საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 30 დეკემბრის N1242176 სხდომის ოქმის N10 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“

საქართველოს კანონის 241მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. No2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, No6, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ტუფინაშვილი თამარ